

გრაბზონული

გამოცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 აპრილს 2011
№ 179 (13476) ფასი 80 თეთრი




სანამ თაშადა მოვა... 3

შვირგოთ მოხენტი:
მერა ისინი მოვლენ

საქართველო პოლონეთთან სამხანაგოდ შაჟარის



ჯგუფი, როგორც უნდა იბრძოლო



მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევი ეტაპის წილისყრამ მრავალმხრივი გამოხმაურება გამოიწვია. მაგალითად, ტურნირის მასპინძლის, ხუთგზის ჩემპიონის, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა მანო მენეზეშმა თქვა, რომ უპირველეს ყოვლისა თვალში უღიძერობა ეცა. მენეზეში, რასაკვირველია, ევროპის ზონას გულისხმობდა. მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ „ბებერ კონტინენტზე“ ყველა ჯგუფი დაბალანსებულია.

„წილისყრამ დაბალანსებული ჯგუფები მოგვცა, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ფეხბურთში ბევრი საშუალო დონის გუნდი გამოჩნდა. ადრე ხშირი იყო „სიკვდილის ჯგუფები“, ახლა კი ასეთს ვეღარ ნახავთ. ძალები თანაბრად განაწილდა. განსაკუთრებით თანაბარძალოვანი B ჯგუფია, სადაც დანია, ბულგარეთი, ჩეხეთი, სომხეთი და მალტა არიან თავმოყრილი.“

მინდა გამოვყო I ჯგუფიც, სადაც ესპანეთი და საფრანგეთი მოხედნენ ერთად. მსოფლიოს ჩემპიონთან დაპირისპირება, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ ესპანეთსაც კერპეტი კაკალი ერგო საფრანგეთის სახით. მოკლედ, ორი მძიმეწონოსანი შეხვედრა ერთმანეთს და გამარჯვებული დიდ გამოცდილებას შეიძენს.“

I ჯგუფის შესახებ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის საიტზე ილაპარაკა „ლურჯების“ მწვრთნელმა ლორან ბლანშაც. მან თქვა:

„საუკეთესოსთან გაჯიბრება ძალიან ამაღლებელია. თან, გასაგებია, რატომ ჰქვია ამ გუნდს ჩვენი ჯგუფის ფავორიტი – ის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონია. ზოგადად, ჯგუფზეც ვერ ვიტყვი, რომ ის სუსტია. მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ბრძოლაში უნდა მოპოვება. საფრანგეთს პირველობის შანსი რასაკვირველია აქვს, ოღონდ საამისოდ ჩვენ ლაღად, კომპლექსების გარეშე უნდა ვითამაშოთ.“

შეგახსენებთ, რომ I ჯგუფში ესპანეთისა და საფრანგეთის გარდა არიან ბელარუსი, საქართველო და ფინეთი.

ილია ბაგუნაშვილი

ევროპის ლიგის III საკვალიფიკაციო ეტაპი

ბურის პაიტაძის სახელობის ვროვნული სტადიონი



დინამო
თბილისი



რეიკიავიკი
ისლანდია

აქ იყიდება ბილეთები

4 აპრილს 2011
21:00

● **პროტასები**

სანამ თაგადა მოვა...



ზესტაფონი-შტურმი

რამდენიმე დღის წინ შემოგთავაზეთ წერილი ევროკონფედერაციის შესახებ და მაშინ გამცნეთ, რომ ქართული კლუბების მიერ მიმდინარე ევროტურნირებზე მოპოვებული ქულებით ჩვენი ქვეყანა მეორე ადგილზე იყო. მას შემდეგ ქართულ აქტივს მორიგი ქულები თბილისის "დინამომ" (ისლანდიაში გამარჯვებით) და "ზესტაფონმა" ("შტურმიან" ფრით) შემატეს, რის შედეგადაც საქართველო პირველ ადგილზე გადავიდა. გვესმის, რომ ეს ფაქტი დროებითია და პირველობას სულ მალე დავკარგავთ, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც სასიამოვნო და გარკვეულწილად ისტორიული ამბავია.

დღეისთვის საქართველოს 2.375 ქულა აქვს, რაც ქართული კლუბების მიერ დაგროვებული ქულების მათ რაოდენობაზე, ანუ 4-ზე გაყოფით მიიღება. ევროთასების საკვალიფიკაციო ეტაპებზე გამარჯვება 1 ქულად ფასობს, ფრე კი - ნახევრად. პლეი ოფში კი მოგებაცა და საყაიმო შედეგიც უფრო „ძვირია“ და რაკი "ზესტაფონსა" და "დინამოს" ეს ეტაპი, ფაქტობრივად, დაბეგებული აქვთ ("ზესტაფონს" ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში მოხვედრის შანსიც აქვს, ევროპის ლიგის პლეი ოფი კი უკვე გაინაღდა), დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მონაგარი საგრძნობლად გაიზრდება. პლეი ოფებამდე კი მესამე ეტაპების გან-


მეორებითი მატჩებია და, მოდი, ვისურვოთ, რომ "ზესტაფონი" ავსტრიიდან გამარჯვებული დაგვიბრუნდეს, "დინამოს" ამბავი კი გარკვეულია — "რეკიავიკთან", ფაქტობრივად, ისლანდიაშივე მოაგვარა საქმე.

მოკლედ, ბევრი აღარაფერი გვაპირებს 2004-05 წლების სეზონის შედეგის გაუმჯობესებას, როცა **გია გვაუჩაძის** განვრთნილმა "დინამომ" უფასო თასის ჯგუფურ ეტაპამდე მიაღწია და საქართველომ დიდწილად სწორედ ამის ხარჯზე მოიპოვა 2.666 ქულა.


მიმდინარე ევროტურნირების სადღეისო რეიტინგი კი ასეთია:

1. საბარტველი	2.375
2. სორვაბია	2.250
3. უნბრათი	2.250
4. ინგლისი	2.125
5. ისრაელი	2.125
6. შვაბეთი	1.900
7. ნორვეგია	1.900
8. აშსტრია	1.875
9. კვიპროსი	1.875
10. მსახანეთი	1.875
11. იტალია	1.785
12. პოლონეთი	1.625
13. რუმინეთი	1.625
14. მაკედონია	1.625
15. ჰოლანდია	1.600
16. საბარტველი	1.600
17. რუსეთი	1.583
18. საფრანგეთი	1.500
19. შვეიცარია	1.500
20. ჩეხეთი	1.500

● **რეპორაჟი**



მურალ ანჯაფარიძე



თემურ ქეცბაია

ფეხბურთი დავნილობაში

ამას წინათ "ლელოში" საქართველოს ფეხბურთის რეგიონული ფედერაციებისადმი დასმული სამი შეკითხვა გამოვაქვეყნეთ. გვინტერესებდა მათი მუშაობის მიზნები, შედეგები, პრობლემები. დღეს ინფორმაციას აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობის შესახებ მოგაწვდით, ახლო მომავალში კი სხვა რეგიონებზეც გიაგობთ.

ხარჯი კი მცირე სულაც არ არის; შემოსული თანხები ხმარდება მსაჯებისა და დამკვირვებლების სახელფასო ანაზღაურებასა და ფედერაციის აპარატის შენახვას. ფედერაცია შეძლებისდაგვარად ეხმარება დევნილ და გალის რაიონში მცხოვრებ ბავშვებს, ვეტერან ფეხბურთელებსა და მათ ოჯახებს.

გაზაფხულზე აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე კონფერენცია ჩატარდა, დელეგატებმა პრეზიდენტის უფლებამოსილება გაუნანგრძლივეს მურალ ანჯაფარიძეს. იმავე თავყრილობაზე შეჯამდა განვილი წლებში გაწეული სამუშაო და სამომავლო გეგმებიც დაისახა.

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია მოხარულია, რომ აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებში კვლავაც იზრდებიან მაღალი დონის ფეხბურთელები, რისი დასტურიცაა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში აკაკი ხუბუტიას დამკვიდრება და ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა, როგორებიც არიან ლევან კაკუბავა, ნიკა კვეციანი, ნიკა ძალამიძე, ბაქარ მირცხულავა, ნიკა შონია, დავით კაკულია და სხვები.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში "სოხუმი" ასპარეზობდა, რომელიც უსახსრობის გამო დაიშალა. აფფ-ს არ აქვს იმხელა ბიუჯეტი, რომ პროფესიული საფეხბურთო კლუბი შეინახოს და ამიტომაც ცდილობს, ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაში შეიტანოს თავისი წვლილი, სისტემატურად ატარებს მოზარდთა და ჭაბუკთა ლიგების გათამაშებებს.

გვერდი მოამზადა ლევან ჯანაშვილი

გასულ სეზონში "გაგრამ" საქართველოს თასი მოიპოვა და ახლახან ევროპის ლიგაზეც იასპარეზა. მართალია, ამ კლუბის დაფინანსებაში აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის წილი არ უდევს, მაგრამ მისი ხელმძღვანელობა ამ გუნდის წარმატებით ამაყობს.



აკაკი ხუბუტია

აფფ ბოლო წლებში აქტიურად მუშაობდა ახალბედა მსაჯების მოსამზადებლად და მეორე და მესამე კატეგორიები 14 ახალგაზრდას მიენიჭა, რომელთა შორის ორი გოგონაცაა.

პერიოდულად იკრიბება და საქველმოქმედო ამხანაგურ მატჩებს ატარებს აფხაზეთის ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაც თემურ ქეცბაიასაც უთამაშია.

განსაკუთრებით ნაყოფიერია აფფ-ისა და "ლია სახალისო ფეხბურთის" სკოლების თბილისის ოფისის მჭიდრო თანამშრომლობა, რის შედეგადაც ამ პროგრამაში მონაწილეობა აფხაზეთიდან დევნილმა ასეულობით ბავშვმა მიიღო.

აფფ-ს საკმაოდ მოკრძალებული ბიუჯეტი აქვს. მისი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან მიღებული გრანტები, სხვადასხვა საფეხბურთო ლონისძიებიდან შემოსული თანხები და სხვა არასპორტული შემოსავლები. მთლიანობაში წლიური ბიუჯეტი არ აღემატება 80-90 ათას ლარს.

განცხადება
საფეხბურთო კლუბი სოხუმის „აეტი“ სინჯებზე იწვევს 22 წლამდე გამოცდილ, არანაკლებ 190 სმ სიმაღლის მეკარეს. საკონტაქტო ტელეფონი: 599 21 15 33, ტექნიკური დირექტორი.

● **ტორპედო**

ბოლოს რაგათ განიც: 2:1

ქუთაისელები სლოვენებიდან გამარჯვებით ბრუნდებიან



"ტორპედომ" სლოვენური შეკრება გამარჯვებით დაასრულა. ქუთაისელებმა ბოლო საკონტროლო მატჩი რამათ განის "ჰაპოლთან" ჩაატარეს და 2:1 გაიმარჯვეს. ანგარიში პირველი ტაიმის შუა წუთებში გრიგოლ დოლიძემ გახსნა, ებრაელებმა ნონასნორობა შესვენების წინ აღადგინეს. შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე კი "ტორპედოს" გამარჯვება ნიკა საბანაძემ მოუტანა.


"ტორპედომ" "ჰაპოლთან" ამ შემაღვნილობით ითამაშა: მიგინეიშვილი, დ. ფოფხაძე, ს. თოდუა, ქემოკლიძე, ჩიკვილაძე, სეთურიძე (67. დ. კორკიტაძე), გურული (46. მანჩხავა), დოლიძე (72. იოსელიანი), თარხნიშვილი, დ. ბოლქვაძე (67. საბანაძე), რ. გოცირიძე (57. მეგრელაძე).



საქართველო-იტალია

სანაკრებო გეგმარაობა

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ ტურნირში ჩვენ გარდა ევროპის 52 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს. ზემოთ ვთქვით, რომ დღემდე 14 ქვეყნის ნაკრებთან არც ერთი მატჩი არ ჩატარებია. ამ 14-ის გარდა ევროპაში სხვა ნაკრებებიცაა, შესარჩევ ციკლში რომ არ შევხვდეთ, სამაგიეროდ, ამხანაგურ მატჩებში გვითამაშია: პორტუგალია, ჩრდილოეთ ირლანდია, ისლანდია, ლუქსემბურგი, სლოვაკეთი, ესტონეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი (სხვათა შორის, ჩვენს „კარის მეზობლებთან“ ხუთ-ხუთჯერ გვითამაშია). ისე, რაკილა საქართველოს ნაკრების მეტოქეები ვახსენებ, ბარემ ის გუნდებიც ჩამოვთვალოთ, ვისთანაც ყველაზე ხშირად გვინებდა დაპირისპირება. იტალიაზე უკვე ვთქვით - მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები ოთხჯერ იყვნენ ჩვენი თანაგვფეხლები; ამავსე თქმა შეიძლება ალბანელებზეც - საქართველოს ნაკრებმა ყველაზე მეტჯერ სწორედ მათ-



თემურ ქეცბაია

მომავალი წლის შემოდგომაზე საქართველოს ნაკრებისთვის „საიუბილეო“, მეთექვსმეტე შესარჩევი ციკლი დაიწყება. სამწუხაროდ, კენჭისყრისას აშკარად არ გაგვიმართლა და მართლაც „სამინელ“ ჯგუფში მოვხვდით: ესპანეთთან, საფრანგეთთან, ბელარუსთან, ფინეთთან!.. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ მართლაც სასწაული არ მოხდება, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უჩველად ჩაივლის. თუმცა ფეხბურთში (მით უფრო, ამ ბოლო დროს) სასწაულები არცთუ იშვიათად ხდება და ხომ შეიძლება, ფორტუნამ ერთხელ ჩვენც გაგვიღიღოს? მაგრამ მხოლოდ იღბლის იმედად ყოფნაც არ შეიძლება: ქართველი ქომაგის სანუკვარი ოცნების ასახდენად „სხვაც“ ბევრი რამ არის საჭირო თუ აუცილებელი; უპირველეს ყოვლისა, მაღალი კლასის ფეხბურთელებით (საერთაშორისო დონეს რომ აკმაყოფილებენ) დაკომპლექტებული ბრძოლისუნარიანი ნაკრები — ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალური შედეგისთვის რომ იბრძოლებს. ამას გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვა ბევრმა ფაქტორმაც ხელი უნდა შეგვიწყოს, თუმცა ამ „წყევლ“ ჯგუფში წინასწარვე აუტსაიდერობას თუ შევეგუებით, მაშინ ჯობს, საერთოდ აღარაფერზე გვექონდეს პრეტენზია. ისე, იღბალი შემთხვევით არ გვისხენება: პირველი კალათიდან იქნებოდა, მეორედან, მესამედან თუ მეხუთედან, ნამდვილად შეიძლებოდა, ჩვენთვის სასურველზე სასურველი თუ არა, მეტ-ნაკლებად „მისაღები“ მეტოქეები შეგვხვდნოდნენ. თანაც, ნუ დაგვაინყვებდა ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტორიც: თემურ ქეცბაიას ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ბოლო ორი წელიწადი ისე ასპარეზობს, რომ ქართველ ქომაგს იმედიც დაუბრუნა და... უფრო მეტზეც გაუჩინა პრეტენზია. ეს „უფრო მეტი“ კი, რაღა თქმა უნდა, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გასვლა უნდა ყოფილიყო; შოდა, მიმდინარე ციკლს (ანუ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს) მთლიანობაში წარმატებულად რომ ვატარებთ, ამიტომაც გვექონდა მომდევნოში უფრო უკეთ ასპარეზობის იმედიც. მაგრამ, როცა ხუთჯერდანი ჯგუფში მსოფლიოს ფეხბურთის ორი გრანდი და ორიც საშუალო დონის მეტოქე გვეოლევა, ცოტა არ იყოს, ძნელია ჩვენს გუნდს უპირობო მოთხოვნა წავუყენოთ: გინდა თუ არა, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური უნდა მოიპოვოთ...ა

საფეხბურთო მათემატიკა

მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები, მსოფლიოსა და ევროპის ექსტრემული საფრანგეთის ნაკრები, ამ ბოლო დროს არნახული აღმავლობით მოასპარეზე ბელარუსის ნაკრები, მეხუთე კალათის გუნდებიდან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფინეთის ნაკრები — აი, ასეთ მეტოქეებთან მოგვინებეს მომავალი წლის შემოდგომიდან პაექრობა. თუმცა შესარჩევ ციკლში მონაწილედგედ მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონი ადრეც არაერთხელ გვყოლია: ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, წინა ცხრა შესარჩევი ტურნირის განმავლობაში... ოთხჯერ იტალიასთან ერთად მოვხვდით! იტალიელთა გარდა, სხვა გრანდებთანაც გვითამაშია: გერმანიასთან, ინგლისთან, საფრანგეთთან. აი, ესპანეთთან კი პირველად გვინებეს დაპირისპირება, ისევე, როგორც ფინეთთან და ბელარუსთან. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ დღესდღეობით ევროპაში 14 ქვეყნის ნაკრებია დარჩენილი, რომლებთანაც 1990 წლიდან მოყოლებული, არც ერთი მატჩი არ ჩატარებია — არც ოფიციალური, არც ამხანაგური. ესპანეთი, ბელარუსი და ფინეთი სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან და ვინლა რჩება: პოლანდია, ჩეხეთი, სერბეთი, შვედეთი, ბელგია, ავსტრია, ბოსნია, მაკედონია, ანდორა, ლიხტენშტაინი, სან მარინო. ისე, ბოლო სამზე ჩვენში რატომღაც ყოველთვის გული წყდებათ ხოლმე: ხომ შეიძლება, ერთხელ მაინც მოხდეს და შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქედ ანდორის, სან-მარინოსა და ლიხტენშტაინის (გნებავთ, ამ სიას ლუქსემბურგიც დაემატოთ) ნაკრებები იყვნენ? ანუ, ალბათ, იმას ფიქ-



საქართველო-საფრანგეთი

რობენ, რომ კონკრეტულ შესარჩევ ციკლში ამ „ჯუჯა“ ქვეყნების საფეხბურთო ნაკრებებთან 6 ქულა გარანტირებული გვექნებოდა, მაგრამ ჯგუფის სხვა მეტოქეებიც ანალოგიურად არ დაითვლიან თავიანთ „მონაგარს“? თანაც, არ დაგვაინყვდეს, რომ, როცა საუკეთესო მეორეადგილოსნების გამოვლენა ხდება (9 მეორეადგილოსნიდან 8 პლეი ოფში აგრძელებს ასპარეზობას, ყველაზე უარესი მარცხენა მჭიკი კი გათამაშებას ეთიშება), ბოლოადგილოსანთან მატჩები მხედველობაში არ მიიღება. ეს, რაღა თქმა უნდა, ექვსგუნდიან ჯგუფებს ეხება, რათა ყველა ნაკრები ერთნაირ პირობებში იყოს - მეორეადგილოსნებს ქულები დაეთვლებათ პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთეადგილოსნებთან. თუმცა ვატყობთ, მოვლენებს გაეუსწარით, საუკეთესო მეორეადგილოსნების გამოვლენაზე რომ ვფანტავთ, რომ თუმცა ვინ იცის, იქნებ, მართლა დაგვჭირდეს მსგავსი საფეხბურთო მათემატიკური გამოთვლები...

თან ითამაშა. თავად განსაჯეთ: ალბანელები ოთხჯერ იყვნენ ჩვენი მეტოქეები შესარჩევ ციკლში (ანუ რვა მატჩი ოფიციალურ დონეზე) და ამას გარდა სამჯერ ამხანაგური შეხვედრაც ჩავატარეთ! შესარჩევ ტურნირებსა თუ ამხანაგურ მატჩებში ასევე ხშირად ვხვდებოდით მოლდოვას (ცხრაჯერ), უკრაინას (რვაჯერ), ლიტვას (შვიდჯერ), ისრაელს, მალტას, რუმინეთს, ლატვიას, საბერძნეთს (ექვს-ექვსჯერ), ბულგარეთს, კვიპროსს (ხუთ-ხუთჯერ), თურქეთს, ირლანდიას, ესტონეთს, სლოვენიას (ოთხ-ოთხჯერ) და ასე შემდეგ. ისე, მხოლოდ ევროპულ მეტოქეებს ვახსენებთ და ნუ დაგვაინყვდება, რომ 1990 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ნაკრებს სხვა კონტინენტების წარმომადგენლებთანაც უთამაშია ამხანაგური მატჩები: ტუნისთან, ნიგერიასთან, სამხრეთ აფრიკასთან, კამერუნთან, ლიბანთან, ირანთან, იორდანისთან, ყატართან, ურუგვაისთან, პარაგვაისთან, ახალ ზელანდიასთან.

გია ტუხაშვილი



ესპანეთის ნაკრები საქართველოში პირველად ჩამოვა

● ტრანსფერი

● მოსალოდნელი ტრანსფერი



გუშინ მირკო ვუჩინიჩი ტურინში წარადგინეს

მილანს აკვილანი აინტერესებს

გალიანიმ ალბერტო დაადასტურა და გალოტელი უარყო

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „როსონერის“ სხვა ხელმძღვანელებთან ერთად სერიოზულად ფიქრობს ალბერტო აკვილანის გადაბრუნებაზე. მოგეხსენებათ, 27 წლის საყრდენი ნახევარმცველი გასულ სეზონში „ლივერპულიდან“ „იუვენტუსში“ იყო განათხოვრებული და სეზონის ბოლოს ტურინულ-მა გრანდმა მისი კონტრაქტის გამოსყიდვაზე უარი თქვა, რის შემდეგაც იტალიელი ნახევარმცველი ისევ ინგლისში დაბრუნდა. თუმცა აკვილანი „ლივერპულსაც“ აღარ სჭირდება.

„მილანი“ გალიანიმ დაინტერესებული. რაკი გალიანიმ ეს ცნობა დაადასტურა, უკვე თამამად შეგვიძლია, დავუჯეროთ ჩვენს იტალიელ კოლეგებს, რომლებიც წერენ, „როსონერში“ „ლივერპულს“ კონკრეტული წინადადებით მიმართაო. იმის გამო, რომ „ლივერპულს“ შეფები მზად არიან, აკვილანი პირველსავე მსურველს მიჰყიდონ, წესით, ტრანსფერი არ უნდა გაინდოს. „მილანში“ გადასვლაზე უარს ვერც თავად ფეხბურთელი იტყვის, რადგან გალიანის სიტყვებიდან ჩანს, რომ მილანელები ალბერტოს შესაძლებლობებში დარწმუნებული არიან – ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას კი აკვილანის იტალიის ჩემპიონში კი არა, ვერც ერთ ნორმალურ კლუბში ვერ მისცემენ.

„ცხადია, ჩვენ ალბერტოზეც ფიქრობთ. ის ზუსტად ისეთი ნახევარმცველია, როგორც „მილანს“ შეეფერება. დიდი შანსია, რომ აკვილანი „როსონერში“ იხილოთ,“ – აცხადებს გალიანი „გაქტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ჩვენს იტალიელ კოლეგებთან საუბრისას, „მილანის“ ბოსმა უარყო მთავარი ხმები იმის შესახებ, თითქოს „მილანი“ მადრიდის „რეალიდან“ კაკას დაბრუნებაზე ფიქრობდეს. არადა, იტალიური პრესა ბოლო დროს დღეიდან იმაზე წერდა, დიდი შანსია, ბრაზილიელი „მილანში“ დაბრუნდესო. შეგახსენებთ, რომ კაკამ მადრიდში წასვლამდე „როსონერში“ ექვსი შესანიშნავი წელი გაატარა და „რეალში“ გადასვლამდე მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნეოდა. ხოლო მას მერე, რაც „სამეფო გუნდის“ ლირსებას იცავს, მისი ვარსკვლავი საერთოდ ვეღარ კიაფობს – კაკა „რეალის“ ძირითად შემადგენლობაშიც კი ვერ ხვდება.

კითხვაზე, რატომ არ ფიქრობს კაკას დაბრუნებაზე, გალიანიმ ასეთი პასუხი გასცა: „მან თავის დროზე ყველას ვუწოდებ და ვგვყავით, როცა „რეალში“ გადასვლა მოისურვა, თუმცა ამის გამო არ განვსჯი. კაკას ყოველთვის საიმედო მთავარს ვთვლი, აქ ის ყველას სიყვარულს უყვარს. პრობლემა ის არის, რომ ბრაზილიელი ზედმეტად მაღალ ხელფასს ითხოვს. იტალიაში არ არსებობს კლუბი, რომელიც ამდენს გადაუხდის!“

ამასთან, გალიანიმ ასევე უარყო მარიო ბალოტელისთან დაკავშირებით გავრცელებული სპეკულაციებიც, რომელთა თანახმად, მანჩესტერში უკმაყოფილო ჭირვეულ თავდამსხმელს იტალიაში დაბრუნება სურს და მზადაა, „მილანის“ ფორმა მოირგოს. გალიანი: „ჩვენ თავდამსხმელზე მეტად ნახევარმცველი გვჭირდება და საინტერესოა, ბალოტელიზე რატომ უნდა ვფიქრობდეთ?“

გვირდით მოგაზრდა ლამაზიკლაშრაპა

მორჩა, ვუჩინიჩი გუჩინელია!

არც აბუერო, არც როსი, კონტეა მირკო მიიღო

მორჩა, გადანყდა: მირკო ვუჩინიჩი „იუვენტუსის“ ფეხბურთელია! 27 წლის მონტენეგროელი თავდამსხმელი ტურინში გუშინ დილას ჩავიდა, სამედლიცინო შემოწმება გაიარა და „ბებერ ქალბატონთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამრიგად, „იუვენს“ თავკაცმა ანტონიო კონტემ სასურველი ფეხბურთელი მიიღო და თუ ჩვენს იტალიელ კოლეგებს ვენდობით, დიდი შანსია, რომ ფაბიო კვალარელა გაუშვას. როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელსა და კონტეს შორის შავმა კატამ გაიბრინა.

კვალარელა თამაზგარეთ?

ვუჩინიჩის ტრანსფერმა შესაძლოა ფაბიო კვალარელას ტურინიდან აბარგება გამოიწვიოს. მართალია, ეს უკანასკნელი ტურინელებმა სრულფასოვნად ორიოდვე კვირის წინ გადაიბრუნეს (მანამდე არენდით თამაშობდა), მაგრამ, როგორც ჩვენი იტალიელი კოლეგები იტყობინებან, ფაბიოს და კონტეს ბოლო დღეებში ურთიერთობა უკიდურესად დაუძაბა.

„იუვენტუსმა“ ვუჩინიჩის ხელში ჩასაგდებად ზუსტად ერთი თვე იბრძოლა და საბოლოოდ, როგორც იქნა, „რომასთან“ შეთანხმებას მიაღწია. „ჯალლოროსი“ „იუვენსგან“ 15 მილიონ ევროს მიიღებს, ვუჩინიჩის ხელფასი კი წელიწადში 3 მილიონი იქნება. მირკო ტურინული გრანდისთვის რიგით მეექვსე შენაძენია. შეგახსენებთ, რომ „ბებერმა ქალბატონმა“ მანამდე პირლო, პაციენცა, ციგლერი, ლინტურბინი და ვიდალი გადაიბრუნა. აღსანიშნავია, რომ ვუჩინიჩს ძალიან ბევრი მთხოველი ჰყავდა. მისი გადაბრუნება მიუხედავად „ბაიერის“, „ტოტენჰემის“ და ლონდონის „არსენალს“ სურდათ. „რომას“ მანისურით ვუჩინიჩს 2022 მატჩში 65 გოლი აქვს გატანილი.

„კორიერე დელო სპორტის“ ინფორმაციით, კონტეს პირდაპირ უთქვამს, თავდასხმაში უპირატესობას ვუჩინიჩ-მატრის ტანდემს მივანიჭებო, რის გამოც კვალარელას გულისწყრომა დაუშვას ხურება.

„იუვენტუსმა“ ფაბიოს კონტრაქტი „ნაპოლიდან“ 10.5 მილიონ ევროდ გამოისყიდა და ნაკლებად ლოგიკურია, რომ 28 წლის თავდამსხმელს, რომელსაც იტალიის ნაკრებში 25 მატჩში 7 გოლი აქვს გატანილი, ორ კვირაში შეეღიოს, მაგრამ კვამლი უტყვებოდ არ არსებობს – კვალარელასა და კონტეს კარგი ურთიერთობა ნამდვილად არ აქვთ. ჩვენი იტალიელი კოლეგები იტყობინებან, რომ ფლორენციის „ფიორენტინა“ ახლაც მზადაა, კვალარელაში 8 მილიონი გადაიხადოს ან „იუვენს“ ფაბიო გარემარბ ხუან ვარგასში გაუცვალოს. ეს უკანასკნელი ტურინელებს მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე გაჩენილი სიცარიელისთვის სჭირდებათ.

არადა, კვალარელა გასული სეზონის პირველ ნახევარში „ბებერ ქალბატონის“ ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი გახლდათ – 17 შეხვედრაში მან 9 გოლის გატანა შეძლო, მაგრამ მერე მძიმედ დაშავდა და მთელი მეორე წრე გაუცდა. კვალარელას, რომელიც „იუვენტუსამდე“ „ნაპოლის“, „უდინეზის“, „სამპდორიას“, „ასკოლისა“ და „ტორინოს“ ღირსებას იცავდა, „იუვენსთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს.

ნილმარი როგორ?

ამასობაში, „რომამ“ უკვე დაიწყო ვუჩინიჩის შემცვლელის ძებნა და როგორც იტალიური პრესა წერს, „ვილიარეალიდან“ ნილმარის გადაბრუნება უნდა. „ჯალლოროსი“ მზადაა, ვუჩინიჩის სანაცვლოდ აღებული 15 მილიონ ევროდან, საკმაოდ დიდი ნაწილი ნილმარის ტრანსფერს მოახმაროს. „გაქტა დელო სპორტის“ ცნობით, „ვილიარეალი“ ნილმარს 13 მილიონად აფასებს. აქვე შეგახსენებთ, რომ ვუჩინიჩამდე „რომა“ კიდევ ერთმა შემცვემა, ჟერემი მენეზამც დატოვა – მან პსუ-ს მიაბურა.



ალბერტო აკვილანი შესაძლოა მილანში გადავიდეს

ჰაირლაინ ინტერნეიშნლ თვის გადაწყვეტა

- ბარბონიკული შეწვევა და სარისხი
- უახლესი აპირიკული ტექნოლოგიები
- გაღწეული თვა შეღებვა იზრდება და არ მუხუც
- გაღწევა ნაწილობრივ (ბრაშა, ლაშარა და ა.შ.)
- თვის სვენი ლიპონსტიკა და შეწვევა

თბილისი, პავლასკის ქ. №16-18 DC

www.hairline.ge
E-mail: hairline@yahoo.com

T: 30 00 30 893 62 32 62

კონსულტაცია უფასოა

ბარსელონა

აფელაის ბარეზუ



ტიაგო ალკანტარაზე უკვე ისე ლაპარაკობენ, როგორც ბარსას მომავალ ლიდერზე

14 აპრილს ესპანეთის სუპერთასის შეხვედრაში "ბარსელონას" იბრაჰიმ აფელაის გარეშე მოუწვევს ასპარეზობა. 25 წლის ჰოლანდიელი განაპირა ნახევარცენტრი "მანჩესტერ იუნაიტედთან" ამხანაგურ შეხვედრაში დამაჯდა - ბარსაყის კუნთი დაეჭიმა. ექიმების ვარაუდით, ის სრულფასოვან სავარჯიშო პროცესს მინიმუმ 4-5 კვირა ვერ დაუბრუნდება. სუპერთასის გარდა ფეხბურთელმა შესაძლოა ესპანეთის ჩემპიონატის საწყისი 2-3 ტურიც გამოტოვოს.

პარი სენ-ჟერმენი

გვჭირდება დრო

პსჟ-ის სპორტული დირექტორი ლეონარდო ბოლო დღეებში ჟურნალისტთა მხრიდან შენუხებულია შეკითხვებით - ბოლოს და ბოლოს როდის დაეცემა ნერტილი ხაჯიერ პასტორეს ტრანსფერსო. "პალერმოს" პრეზიდენტის თქმით, შეთანხმება ძირითად საკითხებზე უკვე მიღწეულია და დარჩენილია მხოლოდ დეტალები. სწორედ ამ "დეტალებს" გამო ბრაზილიელი ჩინოვნიკი ტრანსფერს უკვე გადანწყვეტილად ჯერ არ მიიჩნევს. "ჩვენ ძალიან ახლოს ვდგავართ საბოლოო შეთანხმებასთან. განწყობა საკმაოდ ოპტიმისტურია. მოხარულნი ვართ, რომ გვაქვს მანის ასეთი დონის ფეხბურთელი გადავიბროთ. ყველაფერი მხოლოდ მოლაპარაკებების საკითხია. არის დეტალები, რომელთა გადანწყვეტა ასე, ერთი ხელის მოსმით, შეუძლებელია ხოლმე. გეტყვით, რომ მოლაპარაკებათა პროცესი დასასრულს უახლოვდება. ჩვენ ველოთ ხაჯიერს", - განუცხადა ლეონარდომ ჟურნალისტებს მორიგ შეხვედრაზე. ანალოგიურ განცხადებას აკეთებს პარიზული კლუბის ყატარელი ხელმძღვანელთაგანი ნასერ ელ-ჰელი-ფი. მისი თქმით, "ყველაფერი მალე მოგვარდება".

სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ჯერ კიდევ დროა, მაგრამ "კამპ ნოუზე" ფრანსესკ ფაბრეგასის გადასვლის საქმე ადგილიდან ჯერ კიდევ არ დაძრულა. ამდენი გაურკვეველობით "ბარსელონაში" ხელმძღვანელების გარდა ფეხბურთელებიც დაილაღნენ. მათ შორისაა კაპიტანი კარლეს პუიოლიც, ვინც განაცხადა, რომ ყველანაირი სათქმელი უკვე ნათქვამია, ყველა ნაბიჯი - გადადგმული და ახლა ერთადერთი რაც დაგვიჩნია, ეს ლოდინიაო. კატალონიელები აცხადებენ, რომ თუკი კვირის ბოლომდე მოლაპარაკებები შედეგს არ გამოიღებს, ისინი პროცესს საბოლოოდ გამოეთიშებიან. თავის მხრივ, სწორედ მოლაპარაკებათა შეწყვეტის მომხრეა "არსენალი", რადგან მათ საუკეთესო ფეხბურთელთან განშორება არ უნდათ. რაც შეეხება თავად ფაბრეგასს, ფეხბურთელი ყოველგვარ კომენტარზე უარს აცხადებს. სესკის ტრანსფერის გარდა პუიოლმა ჩვენს ესპანელ კოლეგებთან საკუთარ განმრთელობაზეც ილაპარაკა. მოგეხსენებათ, მას მუხლის ტრავმა ჰქონდა, რის გამოც ლამის მთელი შვეტულეა მკურნალობას მოუწია. "თავს ყოველდღიურად უფრო კარგად ვგრძობ. ჯერჯერობით სრულად გამოჯანმრთელებაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ტკივილები უკვე აღარ მანუხებს. მალე შემეძლება ძირითად ჯგუფთან ერთად ვარჯიში. დარწმუნებული ვარ, რომ პირველი ოფიციალური მატჩისთვის მზად ვიქნები", - განაცხადა ფეხბურთელმა.

მიუნხენში "აუდის თასზე" ჯერ ბრაზილიურ "ინტერნასიონალთან", შემდეგ კი "ბაიერნთან" შეხვედრებში "ბარსაში" ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა. ლაპარაკია ნახევარცენტრი ტიაგო ალკანტარაზე. მიუნხენის შემდეგ "ზლაუგრანამ" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა - "მანჩესტერ იუნაიტედთან" 1:2 წააგო. ალკანტარამ ინგლისელებთანაც მშვენივრად ისაპარეზა. ფეხბურთელი აღფრთოვანებას ბევრი ველარ მალავს. მათ შორისაა "ბარსას" დამრიგებელი ჰუგო სეპსი. "ტიაგოს კარგი დრო უდევს, რადგან მისი ლამის ყველა დარტყმა კარში გადის. ის ჯერ კიდევ ძალიან პატარაა და ნიშ უამრავი დრო აქვს პროგრესისთვის. აუცილებელია, რომ კიდევ უფრო მეტი იმუშაოს თავის თავზე, რათა სათამაშო პრაქტიკა არ მოაკლდეს. ეჭვი არ მეპარება, რომ ის ასეც მოიქცევა".

ალკანტარას შესახებ "მარკას" ჟურნალისტებთან აღმატებული ტონით ილაპარაკა "ბარსას" უნივერსალმა სერხიო ბუსკეტსმა: "უსამართლობა იქნება, თუკი მასზე უკვე ახლა ნავე ზეწოლა. ტიაგოსთვის ახლა პასუხისმგებლობის დაკისრება ძალიან ადრე იქნებოდა. ის ახალგაზრდა და უნიჭიერესი ფეხბურთელია. სწორედ ამიტომ სჭირდება დრო. დარწმუნებული ვარ, ორიოდე წელიწადში ის ჩვენი გუნდის წამყვანი ფეხბურთელი გახდება".

"პარი სენ-ჟერმენის" მთავარი მწვრთნელი ანტუან კომბუარე ჟურნალისტთა წინაშე პრაქტიკულად არ ჩანს. ამას ლოგიკური ახსნა აქვს. მუსიე ანტუანს პრაქტიკულად ახალი, თანაც ზეამბიციური გუნდის ჩამოყალიბება უწევს და თავისუფალი დრო პრაქტიკულად აღარ აქვს. ამის მიუხედავად ჟურნალისტებმა მოახერხეს და თურქი მეველთ ერდინჯის შესახებ ჰკითხეს. ისინი დაინტერესდნენ, პსჟ-ში კვირს გამეიროს, ჟერემი მენეზისა და ხაჯიერ პასტორეს შესაძლო გადმოსვლის შემდეგ რამდენად მიეცემა თამაშის საშუალება 24 წლის ფრანგს. "მეველთი გუნდის განუყოფელი ნაწილია. კლუბში მასთან გამოთხოვება, მით უფრო, სხვა ტრანსფერის გაადვილების მიზნით მისი საქმეში ჩართვა აზრად არავის მოსვლია. ლაპარაკი, რომ ის "ნიუკასლში" გადავიდოდა, სრული აბსურდი იყო", - თქვა მან. ანალოგიური რამ განუცხადა ჟურნალისტებს ერდინჯის აგენტმა პიერ ფრელიმაც.



ხაჯიერ პასტორეს პარკ დე პრენსზე ელოდება

ბორდო

ბორდო



ბორდოს პრეზიდენტი ჟან-ლუი ტრიო (მარცხნივ) და მთავარი ფრანსის ჟიო

ბორდო სუთაულისთვის

"ბორდოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ფრანსის ჟიო დარწმუნებულია, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდი ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის საგზურისთვის აუცილებლად იბრძოლებს. "ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია სეზონი ხუთეულში დავასრულოთ. ვიცი, რომ "ლილს", "ლიონს" "მარსელსა" და მსგ.ს ჩვენზე მეტი შესაძლებლობები აქვთ. შესაბამისად, მათ უფრო მაღალი მიზნებისთვის შეეძლება ბრძოლა. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ლიდერთაგან რომელიმე ფეხი დაუცდეს და ამით ჩვენ შეგვეძლება სარგებლობა. იმისთვის, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდი შევქოთო, მოთმინებაა საჭირო. ხომ ხედავთ, სრულიად ახალ გუნდს ვყავილებთ. მინდა ვისურვო, რომ ხელმძღვანელობამ და გულშემმატიკვარმა მშვიდი მუშაობის საშუალება მოგვცენ".

2008/09 წლების საჩემპიონო შემადგენლობიდან "ბორდოში" თითო-ორი ფეხბურთელი თუ შემორჩა. ერთ-ერთი ასეთი ბრაზილიელი ჟერარდო ვენდელი იყო, ვინც გუნდში "სენტ-ეტიენთან" გააფორმა 3-წლიანი კონტრაქტი. ჟიონდელეები "მწვანეებისგან" 29 წლის ნახევარცენტრი 1,5 მილიონ ევროს მიიღებენ. მართალია ახალ გუნდში ვენდელი წელიწადში მილიონ ევროზე მეტს მიიღებს, მაგრამ ის მანც უფრო ცოტა იქნება, ვიდრე მას "ბორდო" უხდოდა.

ამბავი

ახლოს ვისანება ალღაროთთან

ის, რომ დიეგო რიბასი "ვოლფსბურგს" დატოვებდა, ყველამ იცოდა, რადგან ფეხბურთელს საბოლოოდ გაუფრთხა ურთიერთობა ფელიქს მაგათთან. ერთადერთი სერიოზულ პრობლემას ბრაზილიელის სახელფასო მადამდებდა. გერმანული წყაროების თქმით, დიეგო წელიწადში 4,5 მილიონს ითხოვდა, რამაც ბევრი მსურველი დააფრთხო. ფეხბურთელის აგენტის ჟაიერ და კუნიას თქმით, მისი კლიენტი ახლოსაა "ატლეტიკოში" გადაბარგებასთან. "ისეთი ფეხბურთელი, როგორც დიეგოა, "როზიბლანკოს" ნამდვილად გააძლიერებს. ვფიქრობ, მას არ გაუჭირდება გრეგორიო მანსანოს სექემბერთან მორგება. რაც შეეხება ხელფასის საკითხს, დიეგო მზადაა ანაზღაურების სერიოზულ შემცირებაზეც კი დათანხმდეს", - თქვა და კუნია.



ბილეთები ალარ არის

14 აპრილს "სანტიაგო ბერნაბეუზე" ესპანეთის სუპერთასის ერთმანეთს "რეალი" და "ბარსელონა" დაუპირისპირდებიან. ყველაზე იაფი ბილეთი ამ შეხვედრაზე 35 ევრო ღირდა, საუკეთესო ადგილას მოსახვედრად კი გაუღებდათ 130 ევრო უნდა გაეღო. "ასის" ცნობით, სალაროებში ჩვეულებრივი ბილეთები აღარ დარჩა. არენაზე მოსახვედრად მხოლოდ ე.წ. ვიპილეთები იყვნენ დარჩენილი.

სევილიიდან ბურსაში

"სევილიის" ნახევარცენტრი ნდრი რომარიკმა კარიერა თურქეთის სუპერლიგის "ბურსასპორში" განაგრძო. ეს ინფორმაცია "ასისთვის" გუმინ გახდა ცნობილი. 28 წლის ივუარელი თურქებთან სამწლიანი კონტრაქტს ამ დღეებში მოაწერს ხელს. ესპანელები ტრანსფერის სანაცვლოდ სულ რაღაც 2 მილიონ ევროს მიიღებენ. მარშან ფეხბურთელმა ლა ლიგის 38 შეხვედრიდან 31-ში ითამაშა და 2 გოლი გაიტანა, თუმცა წელს ის მარსელ გარსია ტორაის გეგმებში აღარ ჯდება.

რიკარდა პონსიოს დაუბრუნდა

არგენტინელმა "რივერ პლეიტამ" "სარაგოსადან" ლეონარდო პონსიოს შექენა მოსურვა. ამ იდეის საწინააღმდეგო არც თავად ფეხბურთელს აქვს რამე. რაც შეეხება "სარაგოსას" პონსიოს, კლუბს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და სავარაუდოა, რომ ფეხბურთელის ტრანსფერს იოლად დათანხმდება. კონკრეტულ თანხას ჯერჯერობით არავინ ასახელებს.

კალათბურთი. ახალი ამბავი

ბარსა რუბიოს იბრუნებს

კოზი ბეზიტაშვილი არ იქნება, ლოკატის დასრულებას კი იანვარში ვარაუდობენ



ბარსა რუბინის ნინ „ბარსელონას“ ერთ-ერთი სამიზნე გახლავთ „კახა ლაბორალის“ ბრაზილიელი მცველი მარსელინი უერტასი, მაგრამ თუ ეს გარიგება არ შედგა, კატალონიური გრანდი რიკი რუბიოს დაბრუნებას ეცდებიან, რომელიც ცოტა ხნის წინ „მინესოტა ტიმბერვულვზის“ წევრი გახდა.

მოლაპარაკება არ ჰქონია. ასე რომ, კოზი, შესაძლოა, ევროპაში გადავიდეს, ოღონდ არა ამ თურქულ კლუბში. „ბეშქიტაშთან“ კონტრაქტი არ მქონია, მაგრამ ამავდროულად მზად ვარ მოლაპარაკებებისთვის და სატელეფონო ზარს ველოდები. ნებისმიერ ქვეყანაში ნაწილ სათამაშოდ, - ამბობს ESPN-თან კომენტარში ბრაზილიელი.

კიდევ ერთმა ვარსკვლავმა გამოთქვა უცხოეთში თამაშის სურვილი. კერძოდ, „მაიამის“ ტრიოს ერთ-ერთი წევრი კრის ბოში არ აპირებს ლოკატის დროს დასვენებას და რომელიმე უცხოურ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობას განიხილავს. ამის შესახებ ამბობს კალათბურთელის აგენტი ჰენრი ტომასი. „პიტის“ მეორე ვარსკვლავი ლუიჯი უილიტ დანტერესებულია კლუბის დროებით მცველის პერსპექტივით, რაც შეეხება ლებრონ ჯეიმსს, მისი გეგმების შესახებ არაფერია ცნობილი.

კრიკი

პროფესიონალი ანგარიში იქნება

თანდათან იზრდება აფიოტაჟი სუპერმარკეტის წონაში მორიგი საჩემპიონო ბრძოლის მიმართ. შეგახსენებთ, რომ 10 სექტემბერს WBC-ის ჩემპიონი, უკრაინელი ვიტალი კლიჩუკო ტიტულს დაიცავს პოლონელი ტომას ადამეკის წინააღმდეგ. ბრძოლა პრევიენტენტი მოკრივის ტერიტორიაზე გაიმართება, კერძოდ, ქალაქ ვროცლავის საფეხბურთო მოედანზე. ეს არენა ფეხბურთში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატისთვის აშენდა.



აპირებს. გარდა ამისა, უკვე მომავალი წლიდან AIBA კონტრაქტის გაფორმებას აპირებს რამდენიმე მოკრივისთან. „ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ AIBA-ის ეგიდით პროფესიული ტურნირების ჩატარებას. ასე რომ, მალე უფრო მეტი პატივისცემით მოგვეპყრობიან. გარდა ამისა, ჩვენს სპორტსმენებს ოლიმპიადებზე გამოსვლის უფლებას

მივცემთ, თუმცა ვარკვეული შეზღუდვები მაინც იქნება“, - ამბობს ორგანიზაციის პრეზიდენტი ვუ ჩუნგ კუო. ასევე ცნობილი ხდება, რომ ამერიკიდან AIBA-ს ეგიდით გამართულ ტურნირებზე საჭირო აღარ იქნება ჩაფხუტებით ბრძოლა. ეს ცვლილება არ შეეხება მხოლოდ ქალებსა და იუნiorთა კატეგორიის წარმომადგენლებს.

ადაამეკის მენეჯერი კეტი დუვა მომავალ ბრძოლაზე ანგარიშს ელოდება. „გიგური საღამო იქნება. დაახლოებით 40 ათასი ადამიანი შეიკრიბება. ვროცლავი გერმანიის საზღვრიდან არც ისე შორსაა. ასე რომ, კლიჩუკოს მხარდასაჭერად ბევრი გერმანელი ჩამოვა“, - ამბობს მენეჯერი.

სურვა

ფელსი თანდათან გვეფიქრობება

ლეგენდარულმა ამერიკელმა მოცურავემ მაიკლ ფელსმა განაცხადა, რომ აღარასოდეს მიიღებს მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატში. 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონის სიტყვებით, კვირას შანხაიში დასრულებულ პირველობაზე 4x100 მეტრზე კომპლექსური ესტაფეტა მისი ბოლო სტარტი იყო მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამერიკელი კარიერის დამთავრებას 2012 წლის ოლიმპიური თამაშების შემდეგ აპირებს. 26 წლის ფელსმა ეს ინფორმაცია „ტვი-

ტერის“ სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა. ის ესტაფეტა ამერიკის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. ფელსი მესამე ესტაფეტაზე ბატერფლაით ცურავდა. გარდა ამისა, მსოფლიოს 2011 წლის ჩემპიონატზე მან ოქროს მედლები მოიგო 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით და 4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში. კარიერის განმავლობაში ფელსს მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოგებული აქვს 26 ოქრო, ექვსი ვერცხლი და ერთი

ბრინჯაო. ოლიმპიადებზე მისი მონაგარი 14 ოქროს გარდა, ბრინჯაოს ორ მედალს მოიცავს. ამასობაში, ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ შანხაიში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის დროს არც ერთი დადებითი შედეგის დიპინგ-სინჯი არ დაფიქსირებულა. სულ ანტიადოპინგო სამსახურებმა 400 სინჯი აიღეს. გვირგვინი მოამზადა გაი თვალაპირვილა

სხელინაზი

Table with tennis results including players like Under 19, WTA, and ATP matches.

Table with tennis results including players like WTA, ATP, and HTB matches.

TV პროგრამა

Table with TV program schedule for 2 April, listing channels like GMG and programs like World of Football.

Table with TV program schedule for 2 April, listing channels like Eurosport and programs like WTA and ATP matches.

რეიტინგები

Table with ATP ranking list showing player names and points.

Table with WTA ranking list showing player names and points.

Table with ATP weekly earnings list showing player names and earnings.

Table with WTA weekly earnings list showing player names and earnings.

როგორ

ფორმულა 1. უნგრეთის გრანპრის შედეგები

საბულისხმო საბრძოლველი



¡VAMOS RAFA!

ნადალს პრობლემები აქვს

საფინანსო სეზონის დასრულების შესახებ გამოაცხადა

მსოფლიოს მეორე ჩოგანს რაფაელ ნადალს ფეხზე სერიოზული პრობლემა აღმოაჩნდა...

25 წლის ნადალის პაუზა იმით არის გამოწვეული, რომ ჩოგბურთელმა ვერ სრულად უნდა აღდგინოს ჯანმრთელობა...

ასე რომ, ნადალს არც ისე დიდი დრო აქვს უიმბლდონის შემდეგ თავისი პირველი ტურნირისთვის (მონრეალის მასტერსი) მოსამზადებლად...

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანმა დინარა საფინანსო საკუთარი ვებგვერდის მეშვეობით ამცნო თავის გულშემატიკურებს...

„სამწუხაროდ უნდა გამოვაცხადო, რომ ჩემი ტრავმირებული ზურგი ისევე არ არის ნესრივში. ასე რომ, თამაში არ შემძლება. ასე იქნება მინიმუმ ამ წლის ბოლომდე“ - დანერა რუსმა ჩოგბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ მაისის შუაში 25 წლის საფინანსო ზურგის ქრონიკული ტრავმის გამო დროებით პაუზა აიღო კარიერაში და ვერ ცნობილი არ არის, საერთოდ შეძლებს თუ არა „დიდი სლემის“ ტურნირების სამგზის ფინალისტი კორტზე დაბრუნებას.

ბოლო შეხვედრა დინარამ მადრიდის სუპერტურნირზე ითამაშა, სადაც მეორე წრეში დამარცხდა გერმანელი იულია გორჯესთან - 4:6, 6:4, 4:6. წლევეანდელ სეზონში რუსის ანგარიშზეა 11 მოგება და რვა მარცხი.

სტატისტიკა, შესაძლოა, მოსაწყენი მეცნიერებაა, მაგრამ ფორმულა 1-ში სხვაგვარადაა. უნგრეთის გრანპრის შემდეგ Forix-ის სტატისტიკურმა ბაზამ რამდენიმე საინტერესო მონაცემი გაავრცელა...

ბატონის გამარჯვება

„ჰუნგარიანებზე“ გამარჯვებით ჯენსონ ბატონი პოდიუმების რაოდენობით გაუთანაბრდა ლეგენდარულ გრემ ჰილს...

Table with 2 columns: Rank and Name. 1. მისაელ შუბახიდი 154, 2. ალენ პრუსტი 106, 3. აირტონ სენა 80, 4. ფინანსო ალონსო 69, 5. რუბენს ბარიკელო 68, 6. დევიდ კულტარდი 62, 7. კიმი რაიკონენი 62, 8. ნელსონ პიკე 60, 9. ნაიჯელ მენსელი 59, 10. ნიკი ლაუდა 54, 11. მიკა ჰაკინენი 51, 12. ბიკარდ პერეზი 48, 13. კარლს როიტმანი 45, 14. ჯემი სტიუარტი 43, 15. დევიდ ჰილი 42, 16. ლუს კვიცილანი 40, 17. რიკარდო პატრეა 37, 18. ბრენდ ჰილი 36, 19. ჯენსონ ბატონი 36

პოდიუმზე 36-ჯერ ასასვლელად ჯენსონს გრემ ჰილზე 24 რბოლით მეტის ჩატარება მოუხდა. ბრიტანელის შემდეგი სამიზნე რიკარდო პატრეაა, რომელსაც 37 პოდიუმი აქვს.

უნგრეთში ჯენსონი მეორასედ გავიდა სტარტზე. „ჰუნგარიანებზე“ გამარჯვება მე-11 იყო მის კარიერაში.

კვალიფიკაცია

„ჰუნგარიანებზე“ მოპოვებული პოლიტიკური 23-ე იყო სებასტიან ფეტელის კარიერაში და 31-ე „რედ ბულისთვის“.

2010 წლის ბელგიის გრანპრის შემდეგ ფელიქს მასამ პირველად გაასწრო კვალიფიკაციაში თანაგუნდელ ფინანსო ალონსოს.

ამ სეზონში მეხუთედ ნიკო როსბერგმა მეშვიდე პოზიციიდან აიღო სტარტი.

„ლოტუს რენომ“ ზედიზედ მეორე კვალიფიკაციაში ვერ გადაიყვანა თავისი ბოლიდები მესამე სეგმენტში.

ჯარიმების გამო სებასტიან ბუემიმ ბოლო ორ რბოლაში კარიერაში ყველაზე უარესი პოზიციიდან აიღო სტარტი: 24-ე გერმანიაში და 23-ე უნგრეთში.

რაგოლა

„მაკლარენმა“ ზედიზედ ორი რბოლა მოიგო - ასეთი რამ 2010 წელს თურქეთისა და კანადის ეტაპების შემდეგ არ მომხდარა.

მეორე ადგილზე გასული სებასტიან ფეტელი სეზონში მეთექვსმეტე პოდიუმი მოიპოვა.

ბოლო ოთხ რბოლაში ფინანსო ალონსო ორი პოზიციით მაღალ ადგილს იკავებდა, ვიდრე სასტარტო ბილიკზე ჰქონდა.



ბატონს უნგრეთში გამორჩეული რბოლა ჰქონდა

ახალი

ფრისაბილი

ჩხუბი დათვითან

ფრისტაილში ამერიკის ქალთა ნაკრების წევრი ენი ჰაასი დასავლეთ მონტანაში საეარჯიშო გარბინის დროს დათვს შეეჩება.

როგორც 24 წლის ჰაასი ყვება, თავის სახლთან ახლოს დათვის რამდენიმე ბედი შენიშნა, რომლებიც ხეზე ადოიდნენ.

ფორმულა 1

რედ ბული გაქლიაჩიკაზე ზრუნავს

ზადნიხად სამი წაგების შემდეგ „რედ ბულის“ ინჟინრები ბელგიის გრანპრისთვის (ავისტოს ბოლოს გაიმართება) ბოლიდის შესამჩნევად გადახალისებას აპირებენ.

ეს ზომები ნამდვილად დროული იქნება, რადგან ავსტრიულ საჯინიბოს თითქმის გაუთანაბრდნენ სისწრაფეში „მაკლარენი“ და „ფერარი“.

რაგომა ააღდა ნიკი?

როგორც იცით, უნგრეთის გრანპრის დროს სერიოზული ინციდენტი შეემთხვა „ლოტუს-რენომ“ პილოტს ნიკი ჰაიდფელდს.

ფრანგული საჯინიბოს წარმომადგენლები ინციდენტის მიზეზს იკვლევენ. მათ ეჭვი აქვთ, რომ ბოლიდის ააღება ხანგრძლივმა პიტ-სტოპმა გამოიწვია.

მხოლოდ თეორიული შანსები

როგორც ნესი, პილოტთა საჩემპიონო შანსებზე სეზონის დასრულებამდე სამი-ოთხი რბოლა დარჩენილია.



ნიკი დაეწევა ფეტელს?

ბერს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ფეტელი წელს მეორედ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი.

ჩემპიონატის დასრულებამდე რვა ეტაპით დარჩენილია რვა პრეტენდენტი.

ტი ჰაასი: ფეტელი, ლუსი ჰემილტონი, მარკ უებერი, ფინანსო ალონსო, ჯენსონ ბატონი, ფელიქს მასა, ნიკო როსბერგი და ნიკი ჰაიდფელი.

ფეტელისთვის საკმარისია ვაიმარჯვოს ოთხ რბოლაში და კიდევ ერთში მეორე მხრივ ფინიშირან - და ის ვადაზე ადრე გახდება ჩემპიონი.

ამჟამად საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე მყოფ მარკ უებერს ყველა რბოლაში გამარჯვება სჭირდება და თან იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ფეტელი მესამე ადგილზე ზემოთ ვერ ავიდა.

ჰემილტონს, ალონსოსა და ბატონს გაცილებით უარესი შანსები აქვთ, მაგრამ ვერ ყველაფერია შესაძლებელი.

თითქმის ნული პროცენტია მასას, როსბერგისა და ჰაიდფელდის შანსები.

გვირაძე მოხუცად გათვალისწინებულა